ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №67

02.07.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. დავით რურუა - კომისიის წევრი;
4. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032117640-03; 25.06.2021);**

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03211812-03; 30.06.2021);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032118269-03; 01.07.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032117640-03; 25.06.2021).**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: (www.matsne.gov.ge), 04/05/2021, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016865) და დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 ივნისის №21.881.991 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 ივნისის №21.881.991 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 ივნისის №21.881.991 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 ივნისის №21.881.991 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი, დანართი 4-ის შესაბამისად.“

დადგენილების პროექტის თანახმად, დანართი 2-ში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების მარშრუტები) შედის შემდეგი ცვლილებები:

მარშრუტი №402 - ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩისკენ მოძრაობისას, ნაცვლად ილია ჭავჭავაძის I შესახვევისა, იმოძრავებს: ნიკოლზ ყიფშიძის ქ. - ლევან მიქელაძის ქ. - ილია ჭავჭავაძის I შესახვევის გავლით.

მარშრუტი №464 - გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლიდან გიორგი მიროტაძის ქუჩის მიმართულებით მოძრაობას განახორციელებს: მერაბ კოსტავას ქ. - გიორგი სააკაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ.

მარშრუტი №576 - ნიაბის ქუჩიდან სომხეთის ქუჩის მიმართულებით მოძრაობას განახორციელებს: ნიაბის II შესახვევი - ერისთავის ქ. - ნიაბის I შესახვევი - ნიაბის ქ.

მარშრუტი №413 - ვარკეთილის II მიკრორაიონში შესვლა მიხეილ გახოკიძის ქუჩიდან განხორციელდება: სესილია თაყაიშვილის და ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების ქუჩების გავლით, ნაცვლად ვარკეთილის II მიკრორაიონის №18,20,19,17 კორპუსებისა. ასევე გახოკიძის ქუჩის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების და სესილია თაყაიშვილის ქუჩების გავლით.

მარშრუტი №401- იზრდება ამჟამად არსებული მაქსიმალური რაოდენობა (4 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 5 ერთეული. ასევე, იზრდება სამუშაო დღეებში მინიმალური რაოდენობა (3 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 4 ერთეული.

მარშრუტი №404 - მცირდება ამჟამად არსებული მაქსიმალური რაოდენობა (4 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 3 ერთეული.

მარშრუტი №420 - იზრდება ამჟამად არსებული მაქსიმალური რაოდენობა (5 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 6 ერთეული. ასევე, სამუშაო დღეებში და შაბათს იზრდება მინიმალური რაოდენობა (4 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 5 ერთეული.

მარშრუტი №426 - იზრდება ამჟამად არსებული მაქსიმალური რაოდენობა (5 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 6 ერთეული. ასევე, სამუშაო დღეებში იზრდება მინიმალური რაოდენობა (4 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 5 ერთეული.

მარშრუტი №466 - მარშრუტზე მოძრაობს 12 ერთეული და იმის გათვალისწინებით, რომ ბრუნის დრო არის 50 წუთი, შესაძლებელია მომსახურება განხორციელდეს 10 ერთეულითაც, დაგეგმილი 5 წუთიანი ინტერვალით მომსახურებისთვის.

მარშრუტი №524 - აღნიშნულ მარშრუტზე დაგეგმილია 6 წუთიანი ინტერვალი სამუშაო და შაბათ დღეს, შესაბამისად შესაძლებელია 6 წუთიანი ინტერვალის შენარჩუნება 4 ერთეულითაც, ნაცვლად 5 ერთეულისა.

მარშრუტი №511 - მცირდება მაქსიმალური რაოდენობა (8 ერთეული) ერთი ერთეულით და და გახდება 7 ერთეული.

მარშრუტი №447- იზრდება მაქსიმალური რაოდენობა (8 ერთეული) ერთი ერთეულით და გახდება 9 ერთეული.

მარშრუტი №466 - მცირდება მაქსიმალური რაოდენობა (15 ერთეული) ერთი ერთეულით და და გახდება 14 ერთეული.

№№401, 408, 413, 414, 420, 424, 425, 429, 437, 445, 448, 453, 459, 480, 504, 510, 524, 583 მარშრუტებზე არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით, არსებული რესურსის გამოყენებით, იცვლება ინტერვალები მოძრავ შემადგენლობებს შორის, რითაც შემცირდება მგზავრებისთვის მოლოდინის დროები და გაუმჯობესდება მომსახურება. ასევე, ინტერვალების ნაწილში კორექტივები შედის №№404, 436, 457, 483, 509 მარშრუტებში, რომელიც განისაზღვრა არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით (შედარებით მცირე ნაკადიდან გამომდინარე).

ზ/ა გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები ასახულია დანართი 3-შიც (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების განრიგი).

ამავე დროს, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-2 მუხლის 6^1 პუნქტის მიხედვით საცხოვრებელ ადგილზე მოსახლეობის დარჩენის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აკრძალული იყო პირთა გადაადგილება 23:00 საათიდან 05:00 საათამდე, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა, რის გამოც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული M_2 კატეგორიის ავტობუსებით ყოველდღიური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დასრულების დრო იყო არაუგვიანეს 23:00 საათი. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ივნისის №294 დადგენილებით ცვლილება შევიდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებულ „იზოლაციისა და კარანტინის წესებში“ და წესებიდან ამოღებულ იქნა მე-2 მუხლის 6^1 პუნქტი, დღის წესრიგში დადგა შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების“ დანართებშიც.

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ამასთან, ამოქმედების შემდეგ შემცირდება ბიუჯეტის შემოსავალი, ვინაიდან ნებართვების მფლობელ კომპანიებს შეუმცირდებათ 500 ერთეულ ავტობუსზე ნებართვის გაცემის ფასის გადასახდელი ოდენობა.

კომისიას ვთხოვ, დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილებას და მის ფორმულირებას შემდეგი რედაქციით:

- „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 2 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 2 ივლისის სხდომაზე იმსჯელა და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032117640-03; 25.06.2021) მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211812-03; 30.06.2021):**

ვ.აბულაძე - საქართველოს კანონში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ 2020 წლის 17 ივლისის №7062-რს კანონით შესულმა ცვლილებამ, კერძოდ, კანონის №1 დანართის მე-7 პუნქტს დამატებულმა 7.20.2 პუნქტმა, („7.20.2. „საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილი“ – ადგილი, რომელიც განკუთვნილია საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომისათვის. ნიშნის მოქმედების ზონა საგზაო მონიშვნით განისაზღვრება“) განაპირობა წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საგზაო ნიშანი, რომელიც საცნობი ნიშნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ მქონე სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილს განსაზღვრავს.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის მე-8 მუხლში, რომელშიც საუბარია

სპეციალური პარკირების ადგილების და პირობების განსაზღვრაზე, პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი (,,ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის“) და ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი 5 უქმდება.

ასევე, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დანართი №1 და მე-11 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დანართი №2 ყალიბდება ახალი რედაქციით, უფრო კონკრეტულად, ცვლილება შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ საცნობ ნიშნებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ მათი მოქმედების ვადით.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211812-03; 30.06.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032118269-03; 01.07.2021):**

ვ.აბულაძე - დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

დებულებაში და დებულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტს „რ“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის „$რ^1$“ და „$რ^2$“ ქვეპუნქტები:

„$რ^1$) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება“;

„$რ^2$) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფინანსური აღრიცხვა, გადასახდელი თანხების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით;“

მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ი) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად სათანადო დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი სანებართვო რეესტრის წარმოება; სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე (გარდა ფინანსურისა) საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება“;

უქმდება მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების უზრუნველყოფა, ხოლო იმავე მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. მიზანშეწონილია რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებზე კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, აგრეთვე რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფინანსური აღრიცხვა, გადასახდელი თანხების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის მიწოდება მოქმედი

სამართლებრივი აქტების შესაბამისად სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით განახორციელოს იმ სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც წარმართავს სააგენტოს საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობას. გამომდინარე აქედან, პროექტის თანახმად, აღნიშნულ უფლებამოსილებებს სრულად განახორციელებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული სამსახური.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032118269-03; 01.07.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე